IPN
ინტერპრესნიუსი

საზოგადოება

მაია კობახიძე განათლების მინისტრს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნის გათვალისწინებისკენ მოუწოდებს

20:18 13-04-2011

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელმძღვანელი მაია კობახიძე განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნის გათვალისწინებისკენ მოუწოდებს .
როგორც პროფკავშირის პრეზიდენტის მაია კობახიძის მიერ ორგანიზაციის წევრებისადმი მიმართვაშია აღნიშნული, მან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არაკანონიერ ქმედებებზე წერილით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესაც მიმართა.
"სერიოზული ცვლილებები, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ჯერჯერობით არ დაწყებულა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იმ მოიტივით, რომ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, შემხვედრ ნაბიჯებს არ დგამს. პროფკავშირსა და მასთან დაპირისპირებული მხარის სასამართლო მოსამზადებელი სხდომა საქმეზე 17 მარტს გაიმართა, რომელიც ჩვენთვის გაურკვეველი ვადით გადაიდო. ვფიქრობთ, სასამართლო პროცესის გაჭიანურებით დაინტერესებული ძალები ცდილობენ შეინარჩუნონ ორგანიზაციაში დაძაბული მდგომარეობა. დაპირისპირებული მხარე არ ცვლის თავის პოზიციებს და უარს აცხადებს კონსტრუქციულ დიალოგზე", _ ნათქვამია მაია კობახიძის განცხადებაში.
იქვე მითითებულია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისი ქმედებებით არღვევს ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.
მაია კობახიძეს ანგარიშიდან რამდენიმე შენიშვნა აქვს მიმართვაში მოხმობილი: ,,ამერიკის მშრომელთა ოგანიზაციისა და ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესის მონაცემების მიხედვით, 8 ივნისს განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი შეხვდა რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენელებს და სკოლის დირექტორებს, სადაც მან ზეპირი ბრძანება გასცა, რომ ყველა სკოლის დირექტორს შეეჩერებინა მასწავლებლეთა პროფკავშირისთვის საწევროების გადარიცხვა. შედეგად, პროფკავშირების ადგილობრივმა თავჯდომარეებმა დაიწყეს საწევროების შეგროვება პირდაპირ წევრებიდან. ამ სიტუაციის შეტყობისთანავე განათლების მინისტრამა განაცხადა, რომ ის დირექტორი, ვინც ნებას დართავდა ასეთ აქტივობას სკოლაში, პასუხს აგებდა კანონის წინაშე". "მინისტრის 30 ნეომბრის განცხადებით სკოლის ადმინისტრაციებს მოეთხოვათ, რომ ჰქონოდათ მოსწავლებლების წერილობითი თანხმობა, ასევე სკოლებსა და სპმთპ-ს შორის გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულებები საწევროების გადარიცხვის თაობაზე. სპმთპ-ის განცხადებით, ყოველივე ამ საბუთების მოწესრიგების შემდეგაც კი შეუძლებელი იყო საწევროების მიღება სკოლების მხრიდან". ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი არ ხვდება სპმთპ-ის ახალად არჩეულ პრეზიდენტს მაია კობახიძეს და უარს აცხადებს მასთან დიალოგის წარმოებაზე".
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პედაგოგთა პროფკავშირის ხელმძღვანელი იმედს გამოთქვამს, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გაითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნას და ასევე ელოდება ქმედით დახმარებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან.

მასალის გამოყენების პირობები